

შპს ტელკო სისტემს

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7
1. ზოგადი ნაწილი	7
2. მომზადების საფუძველი	7
3. გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა	8
4. ფულადი სახსრები.	13
5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.	13
6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები.	14
7. ძირითადი საშუალებები.	14
8. სავაჭრო ვალდებულებები.	15
9. ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	15
10. კომერციული ხარჯები.	15
11. ადმინისტრაციული ხარჯები.	16
12. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	16

შპს ტელკო სისტემს

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდის მდგომარეობით

(1 ლარი)

	შენიშვნა	12/31/2023	1/1/2023
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	4	1,578,118	1,986,132
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	150,148	115,838
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	6	3,470,210	3,379,455
სულ მიმდინარე აქტივები		5,198,476	5,481,425
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	9,553	11,435
არამატერიალური აქტივები		2,000	1,932
სულ გრძელვადიანი აქტივები		11,553	13,367
სულ აქტივები		5,210,029	5,494,792
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხი		-	-
სავაჭრო ვალდებულებები	8	215,708	807,708
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება		99,161	17,444
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების მიმდინარე ნაწილი		3,991	10,941
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		318,860	836,093
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ბანკის სესხი		-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		0	-
სულ ვალდებულებები		318,860	836,093
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი		20,400	20,400
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		4,870,769	4,638,298
სულ საკუთარი კაპიტალი		4,891,169	4,658,698
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		5,210,029	5,494,792

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 25 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- ირაკლი გულიაშვილი

მთ. ბუღალტერი ----- ეკა ზუბაშვილი

თანდართული შენიშვნები მე-7 დან 16-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ტელეკო სისტემს

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

(1 ლარი)

	შენიშვნა	2023	2022
ამონაგები	9	8,865,596	9,457,931
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(6,680,587)	(7,315,399)
საერთო მოგება		2,185,010	2,142,533
სხვა შემოსავალი		9,588	9,244
კომერციული დანახარჯები	10	(18,197)	(19,118)
ადმინისტრაციული ხარჯები	11	(1,179,482)	(1,176,439)
სხვა ხარჯები		-	-
დადებითი საკუროს სხვაობა		135,065	262,457
ფინანსური შემოსავალი		167,229	5,761
უარყოფითი საკუროს სხვაობა		(126,039)	(277,443)
ფინანსური დანახარჯები		(97)	(370)
მოგება დაბეგრამდე		1,173,077	946,625
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მიმდინარე წლის მოგება		1,173,077	946,625

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 25 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- ირაკლი გულიაშვილი

მთ. ბუღალტერი ----- ეკა ზუბაშვილი

თანდართული შენიშვნები მე-7 დან 16-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ტელეკო სისტემს

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

(1 ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სხვა რეზერვები	სულ
ნაშთი 1 იანვარი 2023	20,400	4,638,298	-	4,658,698
საწესდებო კაპიტალის გაზრდა	-	-	-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	1,173,077	-	1,173,077
დივიდენდის განაწილება		(940,605)		(940,605)
ნაშთი 31 დეკემბერი 2023	20,400	4,870,770	-	4,891,170

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 25 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- ირაკლი გულიაშვილი

მთ. ბუღალტერი ----- ეკა ზუბაშვილი

თანდართული შენიშვნები მე-7 დან 16-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ტელკო სისტემს

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს (ლარი)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

(საოპერაციო საქმიანობიდან ნაკადების წარდგენის პირდაპირი მეთოდით)

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

(1 ლარი)

			საანგარიშგებო პერიოდი	საანგარიშგებო პერიოდი
			2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:				
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები			10090825	11137589
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები			-7339247	-6798701
გაცემული შრომის ანაზღაურება			-776914	-771047
გადახდილი გადასახადი			-1449492	-1655384
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები (საბანკო ხარჯები)			-53620	-56911
გადახდილი პროცენტები			18342	5153
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან			489894	1860699
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:				
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა				-1446
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან				-1446
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:				
სესხების დაფარვა/აღება				
დივიდენდის გაცემა			-893575	-696342
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან			-893575	-696342
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე			-4334	-119967
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:			-408015	1042944
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:			1986132	943188
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:			1578117	1986132

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 25 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- ირაკლი გულიაშვილი

მთ. ბუღალტერი ----- ეკა ზუბაშვილი

თანდართული შენიშვნები მე-7 დან 16-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ტელკო სისტემსი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

შპს „ტელკო სისტემს“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2007 წლის 25 აპრილს თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 205203279, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ნუცუბიძის ქ.221 კორპ 1ა, ბ.33, კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

კომპანიის წილის მფლობელია:

მერაბ ბუზალაძე (პ.ნ 35001000021)-33.3%

გიორგი კაშია (პ.ნ 01012007776) 33.3%

ალექსანდრე ტივაძე (პ.ნ 35001029814) 33.4%

კომპანიის დირექტორია - ირაკლი გულიაშვილი (62001007654)

კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა: საბითუმო და საცალო ვაჭრობა კომპიუტერებით, კომპიუტერული პერფერული მოწყობილობებით და პროგრამული უზრუნველყოფით, ასევე საბითუმო და საცალო ვაჭრობა ელექტრონული ნაწილებით.

კომპანიას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი

2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

შპს ტელეკო სისტემსი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

მსს ფასს-ის 35-ე მუხლის თანახმად, თუ კომპანია შესაბამის სტანდარტზე გადასვლის თარიღად ირჩევს 2018 წლის 1 იანვარს, საწარმოს მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება სულ მცირე უნდა მოიცავდეს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2018 წლის დასაწყისისთვის და დასასრულისთვის, 2018 წლის სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას და შესაბამის განმარტებით შენიშვნებს. ამასთან, საწარმოს შეუძლია ფულადი ნაკადების ანგარიშგების ნებაყოფლობით წარდგენა. კომპანია იყენებს აღნიშნულ შეღავათს და არ წარადგენს შესადარის ინფორმაციას და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

3.გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

შპს ტელეკო სისტემსი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან

შპს ტელკო სისტემსი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის

შპს ტელეკო სისტემსი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

მანქანა დანადგარები -5 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა-5 წელი;

ავეჯი და ინვენტარი - 5 წელი;

საგზაო ტექნიკა - 5 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

შპს ტელეკო სისტემის

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 15%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2022-2023 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის

შპს ტელეკო სისტემსი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.7020 ლარი;

1 EUR=2.8844 ლარი.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6894 ლარი;

1 EUR=2.9753 ლარი.

4. ფულადი სახსრები.

ფული და ფულის ექვივალენტები შედგება:

	2023	2022
ნაღდი ფული ლარებში	6,200	6,472
მაღალლიკვიდური აქტივები	1,571,918	1,979,659
სულ	1,578,118	1,986,132

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

სავაჭრო მოთხოვნები შედგება:

	2023	2022
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	107,527	73,081
სხვა მიმდინარე აქტივები	42,621	42,757
სულ	150,148	115,838

2023 წლის ბოლოსათვის, კომპანიას საექვო ვალები არ აქვს. გადაუხდელი მოთხოვნები არის საქართველოს რეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირების წინაშე რომლის მიღებასაც კომპანიის მოელის წინასწარ განსაზღვრული ვადებში.

შპს ტელეკომ სისტემები

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები.

მარაგები წარმოდგენილია:

	2023	2022
საქონელი	3,467,144	3,377,523
საწვავ-საცხები მასალები	3,066	1,932
სულ	3,470,210	3,379,455

7. ძირითადი საშუალებები.

ძირითადი საშუალებები შედგება:

	ოფისის აღჭურვილობა	კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ამორტიზებადი ძირითადი საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
ბალანსი 2023 წლის 1 იანვარი	21,234	54,522	12,363	18,027	29,964	14,960	151,070
შემოსვლა			2,023		975		2,998
გასვლა							-
ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბერი	21,234	54,522	14,386	18,027	30,939	14,960	154,068
დაგროვილი ცვეთა							
ბალანსი 2023 წლის 1 იანვარი	(21,005)	(47,378)	(10,980)	(18,027)	(27,286)	(14,959)	(139,637)
ცვეთის ხარჯი	(229)	(2,510)	(316)		(1,823)		(4,878)
გასული ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა							-
ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბერი	(21,234)	(49,889)	(11,296)	(18,027)	(29,109)	(14,959)	(144,515)
წმინდა საბალანსო ღირებულება							
ბალანსი 2023 წლის 1 იანვარი	229	7,144	1,383	-	2,678	1	11,433
ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბერი	0	4,633	3,090	-	1,830	1	9,554

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

შპს ტელეკო სისტემსი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

8. სავაჭრო ვალდებულებები.

სავაჭრო ვალდებულებები შედგება:

	2023	2022
მიწ.და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები	174,042	703,682
სხვა მოკლევადიანი ვალდებულება	41,666	104,026
სულ	215,708	807,708

9. ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2023 წელს, კომპანიის ამონაგები შედგება:

	2023	2022
საქონლის რეალიზაცია	8,808,980	9,423,494
მომსახურების რეალიზაცია	56,617	34,437
სულ	8,865,597	9,457,931

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

10. კომერციული ხარჯები.

კომპანიის 2023 წლის კომერციული დანახარჯი შედგება:

	2023	2022
რეკლამის ხარჯები	5,243	4,412
მარკეტინგის ხარჯი	-	-
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	728	2,251
მიწოდების სხვა ხარჯები	12,226	12,455
სულ	18,197	19,118

შპს ტელუკო სისტემსი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

11. ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანიის 2023 წლის ადმინისტრაციული ხარჯები შედგება:

	2023	2022
შრომის ანაზღაურება	857,576	837,247
კომუნალური ხარჯი	5,109	6,446
საიჯარო ქირა	157,476	166,589
სხვა საერთო ხარჯი	159,322	166,157
სულ	1,179,482	1,176,439

12. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 25 სექტემბერს.